

## ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლების გარანტიები და მისი დაცვის საუკეთესო მიდგომები

### განათლების უფლების არსი

აღიარებულია, რომ საერთაშორისო სამართლით განმტკიცებულ უფლებებს პიროვნების თანდაყოლილი ღირსება წარმოშობს, ამრიგად, სწორედ თავისუფალი პიროვნების იდეალის მიღწევის მიზნით აიხსნება ადამიანის უფლებათა დაცვის საჭიროებაც.<sup>1</sup>

უდავოა ისიც, რომ არსებული სოციალური უთანასწორობებისა და ექსკლუზიის აღმოსაფხვრელად, განათლება, როგორც საუკეთესო სოციალური გამთანაბრებელი, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია. განათლებას გადამწყვეტი როლი ენიჭება დემოკრატიული და თანაბარუფლებიანი საზოგადოების განვითარების პროცესში.

ამავე პრიზმიდან ხედავს განათლების უფლების მნიშვნელობას გაერთიანებული ერების ბავშვთა დაცვის კომიტეტი. კომიტეტის თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანისათვის პიროვნული ღირსება თანდაყოლილია და ძირითადი თავისუფლების განუყოფელი ნაწილია, განათლების უფლება და ადამიანის პიროვნული ღირსება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ამდენად, განათლებაზე ხელმისაწვდომობა სამომავლოდ სოციალური სარგებლისა და განვითარების ძირითადი ინსტრუმენტი ხდება.<sup>2</sup>

თავის მხრივ, განათლებას, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ბაზისურ უფლებას, შემდეგი მახასიათებლები აქვს:

- განათლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, შესაბამისად, მისი აღსრულების ვალდებულება არაერთი მბოჭავი საერთაშორისო სამართლის წყაროთი დგინდება. მასზე ხელმისაწვდომობა არ უნდა იცვლებოდეს სახელმწიფოს პოლიტიკური კურსისა და ნების ცვლილებასთან ერთად, ანდა, არ უნდა წარმოადგენდეს პრივილეგიას.
- განათლების უფლებას აქვს უნივერსალური ხასიათი, შესაბამისად, მისი სუბიექტია თითოეული ინდივიდი, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
- მიუხედავად იმისა, რომ განათლების უფლება არ არის აბსოლუტური, მისი უფლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, იგი მაღალი პრიორიტეტის მქონე ძირითადი უფლებაა. ამრიგად, თითოეული სახელმწიფოს მკაცრი პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს განათლების კონტექსტში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.

<sup>1</sup> საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, პრემბულა.

<sup>2</sup> UNESCO Education Sector, Right to education handbook, გვ. 28.

- **განათლება ადამიანის ძირითად უფლებათაგან ერთ-ერთია**, ვინაიდან, მასზე ხელმისაწვდომობა შემდგომში სხვა, ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და კულტურული უფლებებით ეფექტიანად სარგებლობის გარანტი ხდება.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ განათლების უფლების აღსრულება, სახელმწიფოსათვის მთელ რიგ თანმდევ ვალდებულებებს წარმოშობს. უფლების აღსრულების ნორმატიული ჩარჩო საერთაშორისო სამართლითაა დადგენილი. შესაბამისად, საზოგადოების განათლებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება სახელმწიფოსათვის, ერთი შეხედვით, მძიმე სამართლებრივი ტვირთია. თუმცა ყველა თანხმდება, რომ როგორც პერსონალურად თითოეული ინდივიდისათვის, ისე უშუალოდ სახელმწიფოსათვის, ფასდაუდებელია ის დადებითი ასპექტები, რომლებიც განათლების უფლების ეროვნული კანონმდებლობით განმტკიცებას სდევს თან.

თავის მხრივ, დადგენილია, რომ ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა უპირობო კავშირშია პიროვნების განვითარებასთან, ვინაიდან, სწორედ სწავლების პროცესში იძენს ადამიანი ღირებულებებს, ცოდნასა და წარმოდგენას სამყაროსა და საზოგადოების შესახებ, რაც შემდგომში ინდივიდს იმ უნარების ჩამოყალიბებაში ეხმარება, რომელთა ქონაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების ფორმირებისა და მასთან ინტეგრაციის პროცესში.<sup>4</sup>

ხშირად, განათლების უფლებას, მისი ბუნებიდან გამომდინარე, „განმძრვობ უფლებას“ (multiplier right) უწოდებენ, რადგან, სხვა ბაზისური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა სწორედ იმითაა განპირობებული, თუ რამდენად ხელმისაწვდომია პირისთვის ხარისხიანი განათლება.

უფლებათა ამგვარი კორელაცია უპირველესად იმით აიხსნება, რომ განათლებულ ადამიანს იმთავითვე მეტი შანსი აქვს იპოვოს სამსახური, ჰქონდეს სტაბილური ანაზღაურება, გაწევრიანდეს პროფესიულ კავშირებში და საზოგადოებასთან ერთად, კოლექტიურად იბრძოდეს საკუთარი სოციალური უფლებების გასაუმჯობესებლად. განათლების მიღება ის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ნაბიჯია, რომელიც სოციალური ექსკლუზიისა და სიღარიბის თავიდან არიდების საშუალებას იძლევა. ამდენად, აუცილებელია არსებობდეს სამართლებრივი მოწესრიგება, რომელიც სახელმწიფოზე კანონისმიერი ვალდებულების დაკისრების გზით, უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებაზე თითოეული პირის ხელმისაწვდომობას.<sup>5</sup>

### **განათლების უფლება საერთაშორისო სამართლის წყაროებში**

იქიდან გამომდინარე, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, განათლება უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ითავსებს ინდივიდთა სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებაში, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი წყაროთა განმტკიცებული.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს აღიარონ თითოეული ადამიანის უფლება,

<sup>3</sup> იქვე. გვ. 28.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 31.

<sup>5</sup> იქვე. გვ. 34.

ხელი მიუწვდებოდეთ განათლებაზე. პაქტის მე-13 (2) მუხლის მიხედვით: „სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის განათლების მიღების უფლებას. პაქტის ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან, რომ განათლება უნდა მიემართებოდეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსებების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და ამავდროულად, უნდა განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას. ამასთან, აუცილებელია, რომ განათლება ყველას აძლევდეს თავისუფალ საზოგადოებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობას“<sup>6</sup>

ნორმის მიზნისმიერი განმარტების მეთოდის გამოყენებით ცხადდება, რომ განათლების უფლება კუმულატიურად ებმის პიროვნებისა და მისი ღირსებების განვითარების, თავისუფალ საზოგადოებაში თითოეული ინდივიდის ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობისა და ყველა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის ურთიერთგაგების მნიშვნელობას.<sup>7</sup> ამასთანავე, საყურადღებოა, რომ პაქტის მე-13 (2) მუხლი შინაარსობრივად გამოყოფს განათლების უფლების ოთხ ძირითად ელემენტს, რომელთა ერთდროული არსებობაც სავალდებულოა განათლების თითოეულ საფეხურზე. ეს ელემენტებია:

- **არსებობის/შესაძლებლობის კრიტერიუმი (Availability)** - კონვენციის ხელმომწერ ქვეყანაში უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის საგანმანათლებლო დაწესებულებები. თითოეული ასეთი დაწესებულება შესაბამისად უნდა იყოს აღჭურვილი ინფრასტრუქტურულად. ამასთანავე, საგანმანათლებლო სივრცეებში საჭირო რაოდენობით უნდა იყვნენ წარმოდგენილი კვალიფიციური მასწავლებლები, რომლებიც, თავის მხრივ, შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ ღირსეულ ანაზღაურებას მიიღებენ.
- **ხელმისაწვდომობის კრიტერიუმი (Accessibility)** - საგანმანათლებლო დაწესებულებებიცა და პროგრამებიც დისკრიმინაციის გარეშე, ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ხელმისაწვდომობის კრიტერიუმი დამატებით სამ თანმხვედრ ელემენტს მოიცავს, როგორცაა:
  1. დისკრიმინაციის აკრძალვა - განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, განსაკუთრებით კი - ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის.
  2. ფიზიკური ხელმისაწვდომობა - საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა მდებარეობდეს გონივრულ გეოგრაფიულ ადგილას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია დანერგოს „სამეზობლო სკოლების“ სისტემა, ან იზრუნოს დისტანციური სწავლის მეთოდის შემოღებაზე.
  3. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა - დაუშვებელია, კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყნის მოქალაქეს ხელმოკლეობის გამო არ მიუწვდებოდეს ხელი განათლებაზე. დაწყებითი განათლება ყველასათვის უფასო უნდა იყოს. ამავე დროს, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს უფასო საშუალო და უმაღლესი განათლების ეტაპობრივ დანერგვაზე.

<sup>6</sup> International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, Article 13 (2.1).

<sup>7</sup> General Comment No. 13: The right to education (article 13) (1999).

- **შესაბამისობის კრიტერიუმი (Acceptability)** - სახელმწიფოს მიერ შემუშავებული განათლების ფორმა და სასწავლო გეგმა, საზოგადოებისათვის მისაღები უნდა იყოს. (იგულისხმება კულტურული თავსებადობა, განათლების ხარისხი და ა.შ).
- **თავსებადობის კრიტერიუმი (Adaptability)** - ნაგულისხმებია, რომ განათლების პროცესი უპირობოდ უნდა მოიცავდეს კულტურული რელევანტურობის ასპექტს, რაც მიუთითებს, რომ საგანმანათლებლო პროცესი უნდა ასახავდეს ცვალებადი და მრავალფეროვანი საზოგადოებისა და სხვადასხვა თემის საჭიროებებსა და ინტერესებს.<sup>8</sup>

იდენტურია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით განმტკიცებული უფლებრივი შინაარსიც. იგი მიუთითებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, რომ განათლების მიღება ყველასათვის თანაბრად შესაძლებელი გახადოს, იმდენად რამდენადაც 26-ე მუხლის სუბიექტი თითოეული ინდივიდია.

აღსანიშნავია, რომ 26-ე მუხლი განსხვავებულად ბოჭავს სახელმწიფოებს სხვადასხვა საფეხურის განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით. მაგალითისათვის, დეკლარაციით დგინდება, რომ დაწყებითი განათლება, უპირობოდ ყველასათვის, უფასო და სავალდებულო უნდა იყოს. განსხვავებით პროფესიული და ტექნიკური განათლებისაგან, რომელთა ხელმისაწვდომობის ნაწილშიც, დეკლარაცია განმარტავს, რომ ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, თუმცა მათ არ უნდა ჰქონდეთ სავალდებულო ხასიათი. ხოლო, უმაღლესი განათლების შესახებ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განმარტავს, რომ იგი უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი, ინდივიდთა უნარების შესაბამისად.<sup>9</sup>

იგივე პრინციპებია ნაგულისხმები ბავშვთა უფლებების კონვენციაშიც. მისი 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ასევე ავალდებულებს კონვენციის მხარეებს, რომ უზრუნველყონ სავალდებულო და უფასო დაწყებითი განათლება, იმდენად რამდენადაც, აღიარებულია, რომ პიროვნების ზრდისა და ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე სწორედ განათლება ითავსებს შეუცვლელ როლს. ამდენად, კონვენციის მიხედვით, დაწყებითი განათლება თითოეული ბავშვისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმოშობისა და სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობებისა. ამასთანავე, ნორმა ყურადღებას ამახვილებს განათლების, ინკლუზიურობისა და ბავშვების მრავალფეროვან საჭიროებებთან ადაპტაციის აუცილებლობაზეც, ვინაიდან, დაუშვებელია, განათლების სისტემა იყოს მოუქნელი და ყველას, შაბლონურად, ერთიან მიდგომას სთავაზობდეს. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სასწავლო დაწესებულებებში გათვალისწინებული იყოს თითოეული ბავშვის მახასიათებლები, უნარ-ჩვევები და ეთნიკური კუთვნილება.<sup>10</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით, განათლების უფლების შინაარსობრივი ასპექტები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მსგავსადაა მოაზრებული, რასაც ამ მუხლის სიტყვისმიერი განმარტების მეთოდიც ცხადყოფს, რომლის მიხედვითაც: „არავის შეიძლება აღეკვეთოს განათლების უფლება.

<sup>8</sup> CESCR General Comment No. 13: The Right to Education (Art. 13), გვ. 3.

<sup>9</sup> Universal Declaration of Human Rights, Article 26.

<sup>10</sup> Convention on the Rights of the Child, Article 28.

განათლებისა და სწავლებასთან დაკავშირებული მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას, სახელმწიფო პატივს სცემს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება“.<sup>11</sup> ცალსახაა, რომ ნორმა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, საერთაშორისო პაქტის მსგავსად, განათლების უფლების ნორმატიული შინაარსით იმთავითვე მოიაზრებს არსებობის, ხელმისაწვდომობის, შესაბამისობისა და თავსებადობის კრიტერიუმებს.

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით მეტად მკაფიოდაა მითითებული განათლებაზე ხელმისაწვდომობის კონტექსტში ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე, ვინაიდან ნორმით დგინდება სახელმწიფოს ვალდებულება, რომ:

ა) ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი გახადოს განათლება, მიუხედავად მათი წარმომავლობის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობისა თუ სხვა მახასიათებლისა.

ბ) მიიღოს ქმედითი ზომები იმ ბარიერების (მაგალითისათვის, დისკრიმინაცია ან სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობები) აღმოსაფხვრელად, რომლებმაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს განათლებაზე ხელმისაწვდომობას.<sup>12</sup>

უშუალოდ დისკრიმინაციის აკრძალვას ეთმობა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კონვენცია განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ის პირველი სამართლებრივი მექანიზმია, რომელიც შინაარსობრივად მხოლოდ განათლების საკითხებს აწესრიგებს და რომელიც, თავისი ხასიათით, ჩამოთვლილ სამართლებრივ წყაროებთან შედარებით, ყველაზე მბოჭავი ხასიათით გამოირჩევა, იმდენად რამდენადაც, მის ხელშემკვრელ მხარეებს კონვენციის ნორმათა შესრულება ზედმიწევნით იმ ფორმით უწევთ, როგორც ეს კონვენციითაა დათქმული.<sup>13</sup>

თავის მხრივ, განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონვენციის 1-ლი მუხლი ჩამოთვლის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საგანმანათლებლო სისტემაში/დაწესებულებაში დისკრიმინაციულ ქმედებად. კერძოდ, დგინდება, რომ ამ კონვენციის მიზნებისთვის, ტერმინი „დისკრიმინაცია“ მოიცავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას, შეზღუდვას ანდა უპირატესობას, რომელიც განპირობებულია რასით, კანის ფერით, სქესით, ენით, რელიგიით, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრებით, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობით, ეკონომიკური მდგომარეობით ან დაბადებით, რომელიც მიმართულია ან ზემოქმედებს განათლებაში თანასწორობის გაბათილებისა ან შესუსტებისაკენ, განსაკუთრებით:

„(ა) ნებისმიერი პირისთვის ან პირთა ჯგუფისთვის ნებისმიერი სახის ან ნებისმიერი დონის განათლებაზე წვდომის ხელყოფა;

(ბ) ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის შეზღუდვა დაბალი სტანდარტის განათლებით;

<sup>11</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.

<sup>12</sup> General Commentary on Protocol to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedom.

<sup>13</sup> UNESCO Education Sector, Right to education handbook, გვ. 57.

*(გ) ამ კონვენციის მეორე მუხლის დებულებების გათვალისწინებით, პირებისთვის ან პირთა ჯგუფებისთვის განცალკევებული საგანმანათლებლო სისტემების ან დაწესებულებების შექმნა ან უზრუნველყოფა.<sup>14</sup>*

განსაკუთრებით საყურადღებოა განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონვენციის მე-3 მუხლი, რომელიც სახელმწიფოსათვის ერთგვარი სახელმძღვანელო ხდება და მიუთითებს, თუ რა მინიმალური ზომები უნდა გატარდეს ქვეყანაში, განათლების მიღების პროცესში დისკრიმინაციული პრაქტიკების დამკვიდრების თავიდან ასარიდებლად. კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, რომ:

- გახადონ დაწყებითი განათლება უფასო და სავალდებულო. გახადონ საშუალო და უმაღლესი განათლება, მისი სხვადასხვა ფორმით, ყველასათვის ხელმისაწვდომი.
- უზრუნველყონ, რომ თანაბარი დონის საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში იყოს განათლების თანასწორი სტანდარტები, და რომ განათლების უზრუნველყოფის ხარისხთან დაკავშირებული პირობები ასევე თანაბარი იყოს.
- შესაბამისი მეთოდებით ხელი შეუწყონ და გააძლიერონ იმ პირთა განათლება, რომლებსაც არ მიუღიათ დაწყებითი განათლება, ან რომლებსაც არ დაუსრულებიათ დაწყებითი განათლების სრული კურსი და განაგრძონ მათთვის განათლების მიცემა ინდივიდუალური შესაძლებლობის საფუძველზე.
- დისკრიმინაციის გარეშე პედაგოგიური პროფესიის ტრეინინგის უზრუნველყოფა.<sup>15</sup>

ამდენად, საერთაშორისო სამართლის ნორმათა ანალიზით ცხადდება, რომ განათლების უფლებით დაცული სფერო, უმთავრესად ხარისხიან განათლებაზე ფიზიკურ და ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას განამტკიცებს.

### **ეთნიკური უმცირესობების განათლების საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივი მიდგომები**

უდავოა, რომ დღესდღეისობით ეთნიკური უმცირესობები, საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი სოციალური ჯგუფია, რაც, როგორც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორით, ისე ამ ჯგუფების გარიყულობისა და მივიწყების სისტემური პრაქტიკითაა განპირობებული. ამდენად, მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ბერკეტი უშუალოდ ხარისხიან განათლებაზე წვდომასთანაა დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულება აქვს რატიფიცირებული, რომლითაც ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაევალა. მათ შორის, ევროპული ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, რომლის ხელმოწერითაც, საქართველომ იკისრა ვალდებულება, რომ დაიცავდა საკუთარ ტერიტორიაზე მცხოვრები უმცირესობების უფლებებს, რაც თავის თავში, სხვა მნიშვნელოვან მექანიზმებთან ერთად, იმასაც მოიაზრებდა,

<sup>14</sup> Convention against Discrimination in Education, Article 1.1.

<sup>15</sup> იქვე. Article 3.1.

რომ საქართველო ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა განათლების უფლებას განამტკიცებდა.<sup>16</sup>

თავის მხრივ, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად: „*მხარეები, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებენ ზომებს განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის ცოდნის გასაღრმავებლად. ამ კონტექსტში, მხარეები, inter alia, უზრუნველყოფენ მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და სახელმძღვანელოებისადმი ხელმისაწვდომობის ადეკვატურ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობენ კონტაქტებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.*“<sup>17</sup> ამასთანავე, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ ყველა დონის განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან.<sup>18</sup> ევროპის საბჭოს საკონსულტაციო კომიტეტის ანგარიშთა ანალიზი ცხადყოფს, რომ განათლებაზე თანაბარი წვდომა, ფიზიკურ და ეკონომიკურ ხელმისაწვდომობასთან ერთად, იმასაც გულისხმობს, რომ სწავლების პროცესში უმცირესობები აღჭურვილნი იყვნენ ხარისხიანად ნათარგმნი სასწავლო მასალით. გარდა ამისა, ჩარჩო კონვენცია განათლების უფლების ერთ-ერთ კომპონენტად უმცირესობათა სკოლებში მასწავლებლების საკმარისი რაოდენობით გადანაწილების საჭიროებასაც ასახელებს.<sup>19</sup>

ჩარჩო კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, ხელმომწერი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, აღიარონ, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნება, უფლება აქვს ისწავლოს მშობლიური ენა.<sup>20</sup> ამასთანავე, იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები და თუკი არსებობს სათანადო მოთხოვნა, მხარეები თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში ეცდებიან შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ, რომ ეროვნულ უმცირესობებს, მათივე ენაზე სწავლის ადეკვატური შესაძლებლობა ჰქონდეთ.<sup>21</sup>

ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ეთმობა 1992 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით დამტკიცებული დეკლარაცია ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებების შესახებ, რომელიც, უმცირესობათა განათლების პროცესში სახელმწიფოზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებებზე მითითებით, ჩამოთვლის, თუ რა საჭირო ზომებს უნდა მიმართოს ხელისუფლებამ იმისათვის, რათა განათლების უფლება მოწყვლადი ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომი და გარანტირებული იყოს.

დეკლარაციის მე-4 (15) მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მიხედვით: სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უმცირესობებს მიკუთვნებულმა პირებმა ისწავლონ მშობლიური ენა და/ან მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოებმა უნდა

<sup>16</sup> ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, პრეამბულა.

<sup>17</sup> ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მე-12 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები.

<sup>18</sup> იქვე, მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>19</sup> Advisory Committee on The Framework Convention for the Protection on National Minorities, Opinion on Georgia, Third Opinion on Georgia, გვ. 33.

<sup>20</sup> იქვე, მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>21</sup> იქვე, მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი.

გაატარონ წამახალისებელი ზომები განათლების სფეროში, რათა ზემოაღნიშნულმა პირებმა მიიღონ ცოდნა თავიანთი ტრადიციების, ენისა და კულტურის შესახებ. უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს გარანტირებულად უნდა ჰქონდეთ ცოდნის მიღების შესაძლებლობა.<sup>22</sup>

დამატებითი სამართლებრივი მექანიზმია ევროპული ქარტია რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებაც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არ მოუხდენია ამ ქარტიის რატიფიცირება, მნიშვნელოვანია მისი როლი უმცირესობების უფლებრივი გაუმჯობესების კონტექსტში, მით უფრო მაშინ, როდესაც ქარტია უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა ლინგვისტური უფლებების პრიზმიდან აფასებს სხვადასხვა, მათ შორის განათლების უფლებებში, კონკრეტული ენობრივი პოლიტიკის გატარების საჭიროებას.

ამ კუთხით, რელევანტურია ქარტიის მე-8 მუხლი, რომელიც მიუთითებს იმ რამდენიმე ეფექტიან მექანიზმზე, რომლის გამოყენებაც ერთდროულად გააუმჯობესებდა როგორც ეთნიკურ უმცირესობათა განათლებაზე წვდომას, ისე მათი კულტურული და ლინგვისტური მემკვიდრეობის შენარჩუნებას. კერძოდ, მე-8 მუხლი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ დაწყებითი განათლების (მათ შორის, ბაღების) საფეხურზე, საგანმანათლებლო პროცესი, მთლიანად უმცირესობათა მშობლიურ ენაზე წარმართონ, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ამას საზოგადოება საკუთარი ინიციატივით მოითხოვს. ამასთანავე, ნორმის მიხედვით, სახელმწიფო ენის შესწავლა ეტაპობრივად და თანდათანობით უნდა იწყებოდეს საშუალო განათლების საფეხურზე. რაც შეეხება უმაღლეს საფეხურს, ქარტიის მიერ შემოთავაზებული პრაქტიკით, ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უნდა შეეძლოთ საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლების შესაბამის უმცირესობათა ენებზე მიღება, ან უზრუნველყონ ამ ენების შესწავლა ერთ-ერთი რიგითი საუნივერსიტეტო საგნის სახით.<sup>23</sup>

ეთნიკურ უმცირესობათა განათლების უფლებას მნიშვნელოვან შინაარსს სძენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც. სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა, აღმოფხვრას განათლების სისტემაში არსებული ის სტრუქტურული ხარვეზები, რომელთა არსებობამაც, შესაძლოა, წარსულში ჩაგრული ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა გააუარესოს, ვინაიდან, სასამართლო მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო სივრცეში წარსულში დამკვიდრებულ დისკრიმინაციულ პრაქტიკებს განგრძობადი ეფექტი აქვს და ძირითადად მომავალში იჩენს თავს.<sup>24</sup>

ამ კონტექსტში, ევროპული სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული არასრულწლოვნების სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადანაწილებას სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, ვინაიდან, ნაგულისხმებია, რომ ამგვარი სეგრეგაცია ირიბი დისკრიმინაციის ნათელი გამოვლინებაა.<sup>25</sup> ამდენად, ევროპული სასამართლო დისკრიმინაციულ მოპყრობად აფასებს ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული მოსწავლეების სხვებისაგან იზოლირებულ კლასებში განთავსების პრაქტიკას, რასაც ხშირად სახელმწიფოები იმით ამართლებენ, რომ ამგვარი მეთოდით უმცირესობების საგანმანათლებლო პროცესი მთლიანად მათივე ენაზე წარიმართება. სასამართლო მიიჩნევს,

<sup>22</sup> Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities, Article 4 (15), მე-3 და მე-4 ნაწილები.

<sup>23</sup> European Charter for Regional or Minority Languages, Article 8.

<sup>24</sup> Case of Horvath and Kiss v. Hungary, Para. 104.

<sup>25</sup> იქვე.



რომ ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტური უფლებების დაცვის პროცესი, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლების მხარდამხარ უნდა მიმდინარეობდეს. ამასთანავე, დაუშვებელია უმცირესობების საზოგადოებისაგან მოწყვეტის პრაქტიკის მათსავე იდენტობაზე ზრუნვით გამართლება, ვინაიდან, უკვე ფესვადგმული გარიყულობის პოლიტიკის აღმოფხვრა მხოლოდ და მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცის ხელახალი მოდიფიკაციით თუ მიიღწევა, რაც, სასამართლოს აზრით, იმას გულისხმობს, რომ ეთნიკური უმცირესობები უმრავლესობასთან სრულად იყვნენ ინტეგრირებულნი და საკუთარ მშობლიურ ენასთან ერთად, სახელმწიფო ენასაც იმავე დატვირთვით იმეცნებდნენ.<sup>26</sup>

ამრიგად, საერთაშორისო სამართლის წყაროთა სისტემური ანალიზით შესაძლებელი ხდება იმ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის გამოყოფა, რომელთა არსებობაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უშუალოდ ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა განათლებისთვის.

თავდაპირველად უნდა გამოიყოს **ხელმისაწვდომობის კრიტერიუმი**. საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყონ ეთნიკური უმცირესობების ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა თითოეული საფეხურის განათლებაზე, რაც დამატებით ხარისხიან სასწავლო მასალაზე წვდომასა და უმცირესობათა სკოლებში მასწავლებელთა საჭირო კვოტის არსებობას გულისხმობს.

ხელმისაწვდომობასთან ერთად, **განათლების უფლება ჩანასახშივე მოიაზრებს დისკრიმინაციის დაუშვებლობას**, იმდენად, რამდენადაც, სამართლის თითოეული წყარო კრძალავს საგანმანათლებლო პროცესში უმცირესობათა სეგრეგაციას და საზოგადოებისაგან იზოლირების პრაქტიკას. დაუშვებელია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების სპეციალურ სივრცეებში გადანაწილება და/ან მათი სწავლების პროცესის ისე წარმართვა, სადაც უგულვებელყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლის შესაძლებლობები და ბერკეტები. ეთნიკური უმცირესობები საზოგადოებასთან ინტეგრირებულად უნდა სწავლობდნენ, როგორც საკუთარ, ისე სახელმწიფო ენას, რადგან სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი, გარიყულობის პრაქტიკის საბოლოო აღმოფხვრა.

ამასთანავე, საერთაშორისო სამართალი, უმცირესობათა განათლების უფლების ერთ-ერთ ბაზისურ ასპექტად მოიაზრებს **ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტურ უფლებებს**. აუცილებელია, რომ დაწყებით განათლებას უმცირესობები მათივე მშობლიურ ენაზე იღებდნენ, ხოლო სახელმწიფო ენის შემეცნების პროცესი, ეტაპობრივად, სხვადასხვა საფეხურზე თანდათანობით იზრდებოდეს.

მნიშვნელოვანია **ინტერკულტურული განათლების მოდელის როლიც**. საერთაშორისო სამართალი აღიარებს ეთნიკური უმცირესობების უფლებას, რომ თანაბარი ინტენსივობით სწავლობდნენ, როგორც საკუთარი, ისე უმრავლესობის კულტურული მემკვიდრეობის, ენის, რელიგიისა და ტრადიციების პატივისცემას.

ამდენად, ცალსახაა, რომ ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლების წარმატებით რეალიზება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც სახელმწიფო კომპლექსურად უზრუნველყოფს განათლების უფლების თანმდევი თითოეული ელემენტის პრაქტიკაში აღსრულებას.

---

<sup>26</sup> Case of Orsus v. Croatia.

## „რბილი სამართლით“ გათვალისწინებული რეკომენდაციები განათლების უფლების შესახებ

ეთოს ეროვნული უმცირესობების საკითხებზე უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა განათლების უფლებასთან დაკავშირებით, „ჰააგის რეკომენდაციების“ სახელითაა ცნობილი. იგი არ გამოირჩევა მხოლოდ ეფექტით, თუმცა მნიშვნელოვანი გზამკვლევაა ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლების განმტკიცების კონტექსტში.

თავის მხრივ, რეკომენდაციებით საფეხურებრივად გამოიყოფა, თუ რა პრინციპებისა და მექანიზმების გათვალისწინებით უნდა განმტკიცდეს ეთნიკურ უმცირესობათა განათლების უფლება.

რეკომენდაციათა განმარტებით ბარათში საგანგებოდაა მითითებული, რომ დაწყებით განათლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა შემდგომი განვითარების პროცესში, იმავეზე მიუთითებს განათლების სფეროში ჩატარებული მეთოდოლოგიური კვლევებიც, რომელთა მიხედვითაც, ეთნიკური უმცირესობების კონტექსტში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, უმცირესობებით განსახლებულ ტერიტორიებზე დაცული იყოს ბაღებისა და სკოლამდელი განათლების ცენტრების ფიზიკური ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, აუცილებელია, სკოლამდელ და საბავშვო ბაღების დონეზე სწავლების ენა ბავშვის მშობლიური ენა იყოს, ხოლო სახელმწიფო ენის პრაქტიკული გაკვეთილი მხოლოდ მცირე საათობრივი ბადით იყოს შემოტანილი დაწყებითი საფეხურის სასწავლო გეგმაში.<sup>27</sup>

რაც შეეხება საშუალო განათლების საფეხურს, ამ დროისათვის, სასწავლო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ უმცირესობათა მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლებოდეს. ამასთანავე, მშობლიური და სახელმწიფო ენების შემსწავლელი საგნები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა ისწავლებოდეს. თუმცა, ამ საფეხურისათვის მნიშვნელოვანია, რომ თანდათანობით იზრდებოდეს იმ საგანთა რიცხვი, რომლებიც სახელმწიფო ენაზე შეისწავლება. კვლევების საფუძველზე დგინდება, რომ სახელმწიფო ენაზე შესასწავლი საგნების ეტაპობრივი ზრდა საუკეთესო მიდგომაა.<sup>28</sup>

რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურებზე მასწავლებელთა კომპეტენციის მნიშვნელობაზე, იმდენად რამდენადაც, დაწყებითი და საშუალო განათლების უმცირესობათა ენაზე წარმატებული წარმართვა დიდწილად დამოკიდებულია სათანადოდ მომზადებულ ორენოვან მასწავლებლებსა და მათ კომპეტენციაზე. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, მათ შესწევდეთ უნარი, საგნები ასწავლონ როგორც უმცირესობათა მიკუთვნებულ, ისე სახელმწიფო ენებზე. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სათანადო პირობები მასწავლებელთა ჯეროვნად მოსამზადებლად და გადასამზადებლად, იმისათვის, რათა უმცირესობებს მიკუთვნებული პირებისათვის განათლების მიღების შესაძლებლობა, მაქსიმალურად ხელმისაწვდომი, მოქნილი და ინკლუზიური პროცესი გახდეს.<sup>29</sup>

უმაღლესი განათლების საფეხურზე კი, სწავლება სახელმწიფო ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, თუმცა, ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ ჯგუფებს, თუკი ამის სურვილს გამოთქვამენ,

<sup>27</sup> The Hague Recommendations regarding the Education Rights of National Minorities & Explanatory Note.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> იქვე.

მშობლიურ ენაზე უნდა შეეძლოს უმაღლესი განათლების მიღება, ანდა მაშინ, როდესაც მშობლიურ ენაზე უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა დიდია. უმცირესობის ენაზე უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა მიიღწევა არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაფერისი პირობების შექმნის გზით, იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი ზომა საკმარისი იქნება უმცირესობათა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.<sup>30</sup>

## რელევანტური წარმატებული პრაქტიკები

### ხორვატია

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის სამეთვალყურეო კომიტეტი წარმატებულად აფასებს ხორვატიის ძალისხმევას ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლების განმტკიცებაში.

როგორც ირკვევა, ხორვატიის საგანმანათლებლო სისტემა ეთნიკური უმცირესობების სწავლების პროცესს ერთდროულად სამი განსხვავებული მოდელის გამოყენებით წარმართავს.

იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც პირველი სასწავლო მოდელია (Model A) დანერგილი, სწავლების პროცესი მთლიანად უმცირესობათა ენებზე მიმდინარეობს. თავის მხრივ, ცალკე ისწავლება ხორვატიული ენა და ლიტერატურა, რომელსაც იმდენივე საათი ეთმობა სასწავლო ბადით, რამდენიც უმცირესობათა მშობლიურ ენას, როგორც დამოუკიდებელ სასწავლო საგანს. ეს მოდელი ძირითადად იმ რეგიონებში მუშაობს, სადაც მოსწავლეთა უმეტესობა ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნება. ამ მოდელის ფარგლებში, სხვადასხვა ქალაქსა და რეგიონებში დაწყებითი და საშუალო განათლება: იტალიურ, სერბულ, უნგრულ, ჩეხურ და ბოშურ ენებზე მიმდინარეობს. 2017-2018 სასწავლო წლისათვის, A მოდელმა 34 სასწავლო დაწესებულებაში (იგულისხმება ბაღები და სკოლები) წარმატებით იმუშავა.

პირველ მოდელთან ერთად, სხვა სასწავლო დაწესებულებებში დანერგილია მეორე მოდელიც (Model B), რომელიც თავისი ბუნებით ბილინგვური განათლების მოდელია. ამგვარი სწავლების მეთოდი გულისხმობს, რომ მოსწავლეები ზუსტ მეცნიერებებს ხორვატიულ ენაზე იმეცნებენ, ხოლო სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს მათივე მშობლიურ ენებზე დაეუფლებიან. თუმცა ბილინგვური განათლების მოდელი მხოლოდ 1 დაწყებით და 3 საშუალო საფეხურზე იქნა გამოყენებული. ნაკლებად დაინტერესების ტენდენცია, ხშირად მისივე კრიტიკით იხსნება, ვინაიდან, მიჩნეულია, რომ მოზარდებს უჭირთ ერთი დღის განმავლობაში სხვადასხვა საგნის განსხვავებულ ენაზე შემეცნება.

მეორე მოდელისგან განსხვავებით, პოპულარობით სარგებლობს მესამე მოდელი (Model C), რომლის ფარგლებშიც, მოზარდები ძირითად საგნებს სახელმწიფო ენაზე სწავლობენ. ხოლო უმცირესობათა იდენტობასთან დაკავშირებული საგნები, როგორცაა ისტორია, მათი მშობლიური ლიტერატურა, მუსიკა და ხელოვნება, მათივე ენებზე ისწავლება. ამ მოდელის ფარგლებში დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურზე სწავლება ხორვატიულთან ერთად, ჩეხურ, მაკედონიურ, უნგრულ, რუსულ, სლოვაკურ, სერბულ, ბოშურ და იტალიურ

---

<sup>30</sup> იქვე.

ენებზე მიმდინარეობს. ეს მოდელი 135 საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ბაღებსა და სკოლებში) მუშაობს.<sup>31</sup>

წარმატებულ მექანიზმად შეფასებული განათლების სპეციალური ფორმის, საზაფხულო და ზამთრის სკოლების დანერგვის პრაქტიკაც, რომლის ფარგლებშიც ეთნიკური უმცირესობები 5 წლის ვადით, ჯამში 33 კვირიან სწავლებას გადიან სახელმწიფო ენისა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნების შესასწავლად. ამ მოდელის ფუნქციონირება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 2,858,768 ხორვატიული კუნით ფინანსდება.<sup>32</sup>

ამასთანავე, საკონსულტაციო საბჭოს შეფასებით, განათლებაზე ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად ზრდის დაფინანსებისა და სტიპენდიების განვრცობის პრაქტიკაც. ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ აბიტურიენტებს მოქმედი სახელმწიფო პროგრამით უფინანსდებათ სკოლის შემდგომი - საუნივერსიტეტო გამოცდებისათვის მოსამზადებელი სწავლება, ხოლო უმაღლესი განათლების საფეხურზე ჩარიცხული უმცირესობები ასევე სპეციალური სტიპენდიით სარგებლობენ, რაც ხელსაყრელ შესაძლებლობად მოიაზრება.<sup>33</sup>

საგანმანათლებლო სისტემაში დანერგილ ახალ პრაქტიკებთან ერთად, ხორვატია დამატებით, მასშტაბურ რესურსს დებს ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა დასაქმების ხელშეწყობაშიც. მაგალითისათვის, ხორვატიაში მოქმედი დასაქმების სერვისცენტრი (Croatian Employment Services), ის მნიშვნელოვანი სახელმწიფო უწყებაა, რომელიც უმცირესობათა დასაქმებაზე პასუხისმგებელი და რომელიც, თავის მხრივ, დამამთავრებელ კლასში მყოფ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს სპეციალური ტრენინგების შეთავაზების გზით, სათანადო პოზიციის შერჩევისა და შემდგომში დამსაქმებელთან კომუნიკაციის პროცესში ეხმარება. დასაქმების სერვისის მუშაობის ეფექტიანობაზე ისიც მიუთითებს, რომ 2016 წლიდან 2017 წლამდე 40 პროცენტით გაიზარდა ბომა თემის დასაქმების მაჩვენებელი.<sup>34</sup>

ცხადია, განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით წლების განმავლობაში ფესვგადგმული უთანასწორობების რამდენიმე ეფექტიანი მექანიზმის დანერგვით სრულად და მოკლე ვადაში აღმოფხვრა რთულია, თუმცა ხორვატიის მაგალითი აჩვენებს, რომ გაცხადებული სახელმწიფო ნებისა და არამოჩვენებითი პოლიტიკის შემთხვევაში, სახელმწიფოს რეალურად უზნდება რესურსი იმისათვის, რომ ისტორიულად ჩაგრული ჯგუფების საჭიროებებს მეტი გულისხმიერებით მოეკიდოს და შექმნას მოქნილი საგანმანათლებლო სისტემა, სადაც, მოწყვლადი ჯგუფებისათვის რამდენიმე ალტერნატიული მექანიზმის შეთავაზებით, მეტად ხელმისაწვდომი გახდება ხარისხიანი განათლება.

## რუმინეთი

ხორვატიის მსგავსად, დადებით მიდგომად არის შეფასებული რუმინეთში მოქმედი სისტემაც, რომელიც, თავის მხრივ, საგანმანათლებლო პროცესს ორი განსხვავებული მოდელით

<sup>31</sup> Fifth Report of the Republic of Croatia on the Implementation of the Framework Convention for the Protection of National Minorities, გვ. 109.

<sup>32</sup> იქვე. გვ. 110.

<sup>33</sup> Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities, Fifth Opinion on Croatia, გვ. 29.

<sup>34</sup> Fifth Report of the Republic of Croatia on the Implementation of the Framework Convention for the Protection of National Minorities, გვ. 29.

წარმართავს. პირველი მოდელით, როგორც დაწყებით, ისე საშუალო განათლების საფეხურზე, გათვალისწინებულია ყველა საგნის, უმცირესობათა ენებზე სწავლება. ხოლო მეორე მოდელი, ბაზისური საგნების სახელმწიფო ენაზე, ანუ რუმინულად სწავლებას, ხოლო ეთნიკური უმცირესობების ისტორიის, ლიტერატურის, რელიგიისა (სურვილისამებრ) და გეოგრაფიის - მათივე მშობლიურ ენაზე სწავლებას გულისხმობს.<sup>35</sup>

აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებულ მოდელებს შორის არჩევანს მოზარდთა მშობლები აკეთებენ. კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო სივრცეში სწავლების ამა თუ იმ მოდელის შესარჩევად, საჭიროა, რომ დაწყებით საფეხურზე მინიმუმ ათი მშობელი მაინც აცხადებდეს თანხმობას, სკოლებისა და კოლეჯების შემთხვევაში კი, საჭიროა 15 მშობლის გაცხადებული ნება.<sup>36</sup>

ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, 2013-2014 წლებში, როგორც დაწყებითი, ისე საშუალო განათლების საფეხურზე, მთლიანად უნგრულ ენაზე სწავლობდა 95 824 მოზარდი, გერმანულზე - 13 377, ბოშურ ენაზე - 1308, სლოვაკურზე - 470, სერბულზე - 161, უკრაინულზე - 150, ხოლო ხორვატიულზე - 53. თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს მოდელი ასევე ითვალისწინებდა სახელმწიფო ენის ხარისხიანი სწავლების მექანიზმსაც. ამრიგად, მთლიანად უმცირესობათა ენებზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს რუმინული ენის დაუფლების პროცესი არ დაუზიანებია.<sup>37</sup>

ცხადია, პროცესის წარმატება დამოკიდებულია მასწავლებელთა კვალიფიკაციასა და მათ საკმარის კვოტებზეც. იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკური/ეროვნული უმცირესობები მჭიდროდ არიან განსახლებულნი, სხვადასხვა საგნის უნგრული თემისათვის სწავლება რომ შეძლებოდათ, 7 459 მასწავლებლის გადამზადება გახდა საჭირო.<sup>38</sup>

რაც შეეხება უმაღლესი განათლების საფეხურს, ქვეყნის მასშტაბით, ფუნქციონირებს სამი სხვადასხვა აკრედიტებული უნივერსიტეტი, რომელიც უმცირესობებს საშუალებას აძლევს სურვილის შემთხვევაში, საუნივერსიტეტო განათლება უნგრულ, ბოშურ ან გერმანულ ენებზე მიიღონ. კომიტეტის დასკვნით, ისეთი დაწესებულებების არსებობა, რომლებიც უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს საშუალებას აძლევს მათივე მშობლიურ ენაზე მიიღონ უმაღლესი განათლება, მნიშვნელოვნად განამტკიცებს უმცირესობათა განათლებაზე ხელმისაწვდომობას.<sup>39</sup>

## დასკვნა

უდავოა, რომ დღეს საქართველოში, ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების განათლებაზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობებისთვის, საგანმანათლებლო პროცესის დაბალ

<sup>35</sup> ADVISORY COMMITTEE ON THE FRAMEWORK CONVENTION FOR THE PROTECTION OF NATIONAL MINORITIES, გვ. 33-34.

<sup>36</sup> იქვე. გვ. 34.

<sup>37</sup> იქვე. გვ. 35.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> იქვე. 35-36.

საფეხურზე დასრულება, ქვეყნის მთლიან მოსახლეობასთან შედარებით, უფრო მეტად არის დამახასიათებელი. მაშინ, როდესაც სრული საშუალო განათლების დონეზე უფრო მაღალი საფეხურისთვის (საშუალო ტექნიკური, სრული უმაღლესი, სამეცნიერო ხარისხი) მიღწეული აქვს ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 43.1%-ს, იგივე მაჩვენებელი 26.2%-ს შეადგენს ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში. ამასთანავე, მაღალია იმ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა წილი, რომელთაც არ მიუღწევიათ სრული საშუალო განათლებისთვის; სრული საშუალო განათლების არმქონე ეთნიკური უმცირესობების წილი 23.2%-ს შეადგენს მაშინ, როდესაც იდენტური მაჩვენებელი 10.1%-ს უტოლდება ქვეყნის მთელი მოსახლეობის დონეზე.<sup>40</sup>

რიცხვებში გამოსახული უთანასწორობა ეთნიკური უმცირესობების განათლების პოლიტიკაში ისტორიულად დაგროვებული გამოწვევების და უსამართლობების შედეგია.

**პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოში არ არსებობს ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა.** ცხადია, რომ ამ სფეროში ქმედითი პოლიტიკა და სამართლიანობა ასევე მოითხოვს ეფექტიანი მონიტორინგის, ანგარიშვალდებულებისა და საკონსულტაციო სისტემების დანერგვას, რომელიც დღეს საქართველოში არ არსებობს. პრობლემურია თავად ამ მიმართულების დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუციური მხარეც. განათლების სამინისტროში არ არსებობს შესაბამისი სამსახური, რომელიც უმცირესობების პოლიტიკაზე სისტემურად იმუშავებდა. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზოგადი განათლების სისტემაში დაგეგმილი რეფორმები, ხშირად, უმცირესობების სკოლების სპეციალურ საჭიროებებსა და გამოწვევებს უგულებელყოფს და სახელმწიფო პოლიტიკაში მათზე ორიენტირებული მიდგომების წინასწარი და გრძელვადიანი გათვალისწინება არ ხდება. მკვეთრად სუსტია განათლების სისტემაში შესაბამის რგოლებს შორის კოორდინაცია და, შესაბამისად, ეფექტიანობა,<sup>41</sup> რაც იმას გულისხმობს, რომ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე დეპარტამენტებს შორის კავშირი გაწყვეტილია. თავის მხრივ, გამოწვევაა ისიც, რომ განათლების სამინისტროში დღემდე არ არსებობს, უშუალოდ ეთნიკური უმცირესობების განათლების საკითხებზე მომუშავე ერთეული.

ეთნიკური უმცირესობებისთვის სკოლამდელი განათლება 2.7-ჯერ ნაკლებად არის ხელმისაწვდომი, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისათვის. უფრო ზუსტად კი, საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი 69,5%-ია, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - 25,5% (საშუალოდ), რაც ევროპულ სამიზნე ნიშნულზე - 95%-ზე ნაკლებია.<sup>42</sup> ამასთან, 2017 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ კვლევების მიხედვით, საქართველოში რეგისტრირებულ ბავშვთა ნახევარზე მეტს არ აქვს წვდომა სკოლამდელ

<sup>40</sup> სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგები, გვ. 6.

<sup>41</sup> სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები, 2020 წ. ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-mimart-ganatlebis-politikis-sistemuri-gamotsvevebi>

<sup>42</sup> საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა, UNICEF, 2018 წ., ხელმისაწვდომია: <https://www.unicef.org/georgia/media/1236/file/Preschool%20Quality%20Study.pdf>

განათლებაზე. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით შემამფოთებელია სოფლად მცხოვრები ბავშვებისა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.<sup>43</sup>

სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სკოლებში მნიშვნელოვანი გამოწვევაა კვალიფიციური მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობა (მასწავლებლების რიცხვი საჭირო რაოდენობაზე ორჯერ ნაკლებია). 2014 წლის მონაცემებით, უმცირესობების სკოლებში 6830 პედაგოგი სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში 15375 პედაგოგის მოვალეობას ითავსებს. რიგ შემთხვევებში იმ საგანთა რაოდენობა, რომელსაც ასწავლის ერთი მასწავლებელი, 9-ს აღწევს. 400-მდე სკოლაში კი ერთი მასწავლებელი 6 სხვადასხვა საგანს ასწავლის. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად ეს საგნები სხვადასხვა დარგობრივი ჯგუფიდანაა.<sup>44</sup> 2017-2018 წლის მონაცემებით, უმცირესობების თემებში მასწავლებელთა 72%-ზე (885) მეტს პრაქტიკოსის სტატუსი აქვს, რაც, სქემის მიხედვით, ყველაზე დაბალი საფეხურია. 2019 წლის კვლევის თანახმად, არაქართულენოვან სკოლებში მოსწავლეთა მხოლოდ 18%-ს ასწავლის ისეთი მასწავლებელი, რომელსაც ჩაბარებული აქვს პროფესიული უნარების გამოცდა. ქართულის, როგორც მეორე ენის, შემთხვევაში კი, ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანულ სექტორში ყველაზე მაღალია და 39%-ს შეადგენს, სომხურენოვან სკოლებში - 30%-ს. შედეგების თანახმად, ჯავახეთის საჯარო სკოლების დირექტორობის 175 კანდიდატიდან მხოლოდ თერთმეტმა შეძლო გამოცდის ჩაბარება, მათ შორის, რვა ქართული წარმოშობის იყო. საქართველოში საპენსიო ასაკის მასწავლებელთა წილი 20%-ია. აზერბაიჯანულენოვანი სკოლების შემთხვევაში კი, ეს მაჩვენებელი ქვეყნის სურათთან შედარებით, უფრო მაღალია და 34.8%-ს შეადგენს.<sup>45</sup>

საჯარო სკოლებში ქართული ენის ხარისხიანი სწავლება კვლავ ძირეულ გამოწვევად რჩება. ამ გამოწვევის პირველადი სისტემური მიზეზი ქართული ენის, როგორც მეორე ენის დამხმარე მასწავლებლების მწირ ოდენობას უკავშირდება.

ამასთანავე, ეთნიკური უმცირესობების სკოლებში დღემდე არ არის ხელმისაწვდომი ბილინგვური სახელმძღვანელოები. შესაბამისად, უდავოა, რომ ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, შემდგომში ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან იზოლირებას იწვევს.

ქართული ენის სწავლების მიღმა, ეთნიკური უმცირესობების განათლების პროცესში არსებით პრობლემას წარმოადგენს აზერბაიჯანული და სომხური ენისა და ლიტერატურის შესწავლა. ამის ფუნდამენტური მიზეზი აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის, ისევე როგორც აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე სხვა დარგის ახალი სპეციალისტების/მასწავლებლების რესურსების სიმწირეა. პრობლემად დგას სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მასწავლებლების გადამზადების პროგრამების სიმწირე. ასევე, მათი სერტიფიცირების საკითხი, მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე პროფესიული გამოცდების ჩაბარების უფლება.

<sup>43</sup> სტატია: „All children in Georgia should have equal access to quality early and pre-school education, UNICEF says“, ხელმისაწვდომია: <https://www.unicef.org/georgia/press-releases/all-children-georgia-should-have-equal-access-quality-early-and-pre-school-education>

<sup>44</sup> ტაბატაძე შალვა და ნათია გორგაძე. 2013ა. ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე, გვ. 15.

<sup>45</sup> სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები, 2020 წ.

უმცირესობების სკოლებში სერიოზული პრობლემებია ინფასტრუქტურული თვალსაზრისითაც. გარდა იმისა, რომ ხშირად მძიმე მდგომარეობაშია სკოლის შენობები, გაუმართავია სხვა სასწავლო ინფრასტრუქტურაც - ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები, ტექნიკა.

არსებული სისტემური გამოწვევები უშუალოდ აისახება მოსწავლეების მიღწევებზეც. 2018 წლის PISA-ს ტესტების მიხედვით, უმცირესობების რეგიონებში სკოლის მოსწავლეების შედეგები 100 ქულით ჩამორჩება დანარჩენი საქართველოსგან. 2016 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები კი აჩენს მნიშვნელოვან სხვაობას რეგიონების მიხედვითაც, სამცხე-ჯავახეთსა (38.6%) და ქვემო ქართლში (36.6%) ყველაზე მაღალია გამოცდებზე ჩაჭრის მაჩვენებელი, როდესაც ეს მონაცემი თბილისში 9.6%-ს შეადგენს.<sup>46</sup> ცხადია, რომ ეს შედეგები მძიმე გავლენას ახდენს ეთნიკური უმცირესობების ჯგუფს მიკუთვნებული ბავშვების მომავალზე, სოციალური განვითარების შესაძლებლობებზე, და საბოლოოდ დისკრიმინაციულ კლიმატს ქმნის.

შექმნილი რეალობის შესაცვლელად მნიშვნელოვანი ბერკეტია ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი, რომელიც საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა განათლების მიმართულებით პოლიტიკის გაუმჯობესების ხელშემწყობ ფაქტორად უნდა მოვიაზროთ.

2014 წლის 27 ივნისს, ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ასოცირების შესახებ, რომელიც 2016 წლის 1 ივლისიდან შევიდა ძალაში. თავის მხრივ, ხელშეკრულებამ განსაზღვრა მხარეთა თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები, მათ შორის: პოლიტიკური დიალოგი, სამართლებრივი, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა, დემოკრატია და ადამიანის უფლებები და სხვა ინსტიტუციური საკითხები. ამდენად, შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები, რომელთა წარმატებით განხორციელებაც სამომავლოდ ერთიორად ზრდის ევროპის კავშირში გაწევრიანების პერსპექტივას. ასოცირების ხელშეკრულების სამოქმედო გეგმის/დღის წესრიგით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად, სწორედ ეთნიკურ უმცირესობათა სოციალურ-ეკონომიკური ინკლუზია და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა დასახელდა.

ამრიგად, აუცილებელია, საქართველომ, სხვა ქვეყნების წარმატებული პრაქტიკებისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების გათვალისწინებით, შეასრულოს საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებები და უზრუნველყოს ეთნიკურ უმცირესობათა განათლების უფლების რეალიზება და განმტკიცება, იმდენად, რამდენადაც, განათლების უფლება მნიშვნელოვან ფუნქციას ითავსებს როგორც ისტორიულად მარგინალიზებული ჯგუფების უფლებრივი გაუმჯობესების თვალსაზრისით, ისე ქვეყნის განვითარებისა თუ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში.

---

<sup>46</sup> სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. 2017. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები (კვლევა და პოლიტიკის დოკუმენტები), გვ. 100-101.